ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

KA000031977519325

[redacted]

[redacted]

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე [redacted] მიმართ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვასილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ბრალდებულ [redacted] ადვოკატების მიერ წარმოდგენილი სისხლის სამართლის [redacted] საქმის მასალები, რომელსაც მოცემულ ეტაპზე, განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე [redacted].

მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ [redacted] ბრალდებულია ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის. გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდება ეყრდნობა მხოლოდ დამკავებელი სამი პოლიციელის ჩვენებასა და პოლიციელების მიერ ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმს.

სამწუხაროდ, კვლავ გამოიკვეთა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა, რომლის შედეგადაც მოქალაქეები კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების გარეშე რჩებიან. კერძოდ, პირადი ჩხრეკა ჩატარდა ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნისა და მისი მოპოვების მცდელობის გარეშე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის პასუხისგებაში მიცემისათვის და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც მსგავს შემთხვევებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობის და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვის კუთხით. შესაბამისად, ვიყენებ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ

უფლებამოსილებას და მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ [redacted] სისხლის სამართლის საქმეზე.

მოცემული წერილობითი მოსაზრების მიზანია არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ სასამართლოს დახმარება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტით და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი.

ფაქტობრივი გარემოებები

ბრალდების მხარის მასალები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი მასალების თანახმად, [redacted] მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეტექტივის, [redacted] მიერ 2024 წლის [redacted] დეკემბერს შედგენილი პატაკი.

აღნიშნული პატაკის საფუძველზე, 2024 წლის [redacted] დეკემბერს 20:28 საათზე შედგენილ იქნა შსს პოლიციის დეტექტივის გამოკითხვის ოქმი,[1] რომლის თანახმადაც, ოპერატიული ინფორმაციის შესაბამისად, მოქალაქე [redacted] არის ნარკოტიკული საშუალების აქტიური მომხმარებელი და ეწევა მის უკანონო შეძენა-შენახვას. ამავე ინფორმაციით, [redacted] მის სარგებლობაში არსებული [redacted]-ს მარკის ავტომობილით, სახელმწიფო ნომრით [redacted] თანმხლებ პირთან ერთად, 2024 წლის [redacted] დეკემბრის 01:00 საათიდან 02:00 საათამდე პერიოდში უნდა გადაადგილდეს [redacted] და როგორც პირადად, ასევე ავტომობილში და საცხოვრებელ სახლში, უკანონოდ უნდა ინახავდეს ნარკოტიკულ საშუალებებს.

2024 წლის [redacted] დეკემბერს 01:36 საათზე, [redacted] მედებარე ტერიტორიის საავტომობილო გზაზე, პოლიციის სამი თანამშრომლის [redacted] მიერ დაკავებულ იქნა მოქალაქე [redacted] და [redacted] ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, [redacted] (პ/ნ: [redacted]). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით, ჩხრეკის განხორციელების საფუძვლად მითითებული იქნა, რომ დაყოვნების შემთხვევაში [redacted] თავიდან მოიშორებდა მამხილებელ მტკიცებულებებს და შეიძლება განადგურებულიყო გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემები.[2]

[redacted] დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმები შედგენილ იქნა 2024 წლის [redacted] დეკემბერს, [redacted] დაკავების ადგილზე. პირადი ჩხრეკის შედეგად [redacted], შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა წებოვან ლენტში შეხვეული ოთხ შეკვრად დაფასოებული გაურკვეველი ნივთიერება. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, ტექნიკური საშუალებით გადაღება არ მომხდარა, რის მიზეზადაც მითითებულია, რომ არ ჰქონდათ ტექნიკური საშუალება და საკმარისი ფიზიკური რესურსი.

ჩხრეკისა და დაკავების ოქმებში არ არის მითითებული, დაკავებისა და ჩხრეკის დროს გარეშე პირების შესახებ ინფორმაცია, გარემოს აღწერის შესახებ ინფორმაცია. მსგავსი ინფორმაცია არც პოლიციელების შემდგომი გამოკითხვის დროს არ არის გამოკვლეული.

[redacted] დაკავებასა და პირად ჩხრეკაში მონაწილე ერთ-ერთი დეტექტივის, [redacted] ჩვენებიდან ირკვევა,[3] რომ 2024 წლის [redacted] დეკემბერს, მიღებულ იქნა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, [redacted] იყო ნარკოტიკული ნივთიერებების აქტიური მომხმარებელი და ეწეოდა მის უკანონო შეძენა-შენახვას. ამავე ინფორმაციით [redacted] მის სარგებლობაში არსებული [redacted] მარკის ავტომობილით, სახელმწიფო ნომრით [redacted] თანმხლებ პირთან ერთად, 2024 წლის [redacted] დეკემბრის 01:00 საათიდან 02:00 საათამდე პერიოდში უნდა გადაადგილებულიყო [redacted] მიმართულებით და როგორც პირადად, [redacted] ასევე ავტომობილში და საცხოვრებელ სახლში, უკანონოდ უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალებები.

დეტექტივის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, მითითებულ მისამართზე, მასთან ერთად მივიდა კიდევ ერთი ოპერატიული თანამშრომელი [redacted] ადგილზე მისვლის შემდეგ [redacted] გააცნეს [redacted] დადგენილება, რომ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა ჩაეტარებინათ მისი პირადი ჩხრეკა. თუმცა [redacted] დადგენილებაზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა, გაურკვეველი მიზეზით. პირადი ჩხრეკის შედეგად, შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან თვითონ ამოუღო წებოვან ლენტში გახვეული ოთხ შეკვრად დაფასოებული გაურკვეველი ნივთიერება, რომელიც მოთავსდა სპეციალურ პაკეტში. პაკეტს დაესვა თარიღი, სისხლის სამართლის საქმის ნომერი და გაკეთდა მონაწილე პირთა ხელმოწერები, სოლო [redacted] ვლავ უარი განაცხადა ხელმოწერაზე მისთვის გაურკვეველი მიზეზით. აღნიშნულის შემდეგ, გამომძიებელმა [redacted] გააცნო ბრალდებულის უფლებები და დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით. ასევე, დეტექტივი ჩვენებაში აცხადებს, რომ ჩხრეკის ვიდეო გადაღება არ მოხდა, რადგან ადგილზე იყვნენ მხოლოდ **სამი თანამშრომელი.** შესაბამისად, ვიდეო

გადაღებისთვის ტექნიკური საშუალების მოძიება ფიზიკური რესურსის არ არსებობის გამო ვერ მოხერხდებოდა, რადგან თვითონ უშუალოდ ჩხრეკას აწარმოებდა, მეორე ოპერატიული თანამშრომელი მეთვალყურეობდა [redacted] ხოლო გამომძიებელი ოქმს ავსებდა.

ბრალდებულის დაკავების შემდეგ, ჩატარდა ავტომობილის ჩხრეკა, რა დროსაც ამოღებულ იქნა მობილური ტელეფონი, მასში არსებული სიმ ბარათით, რაც დაილუქა სპეციალურ პაკეტში. ავტომობილის ჩხრეკისა და ამოღებული ნივთის შესახებ შედგა ოქმი,[4] თუმცა [redacted] არც აღნიშნულ ოქმზე მოაწერა ხელი. ვიდეო გადაღება არც აღნიშნული ჩხრეკის დროს არ მომხდარა.

ამასთან, ამავე დღეს შედგენილი ჩხრეკის სხვა ოქმის მიხედვით, პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ [redacted] საცხოვრებელ მისამართზე, საგამოძიებო მოქმედების/ჩხრეკის ჩასატარებლად, თუმცა რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ ამოუღიათ.[5] ასევე, ჩხრეკის მიმდინარეობის დროს არ გამოუყენებიათ რაიმე სახის ტექნიკური საშუალება, რის თაობაზეც აღნიშნულია, რომ არ ჰქონდათ ტექნიკური საშუალება და არც ფიზიკური რესურსი. ოქმში აგრეთვე აღნიშნულია, რომ საცხოვრებელში ჩხრეკა ჩატარდა სამი პოლიციელის მონაწილეობით მშვიდ ვითარებაში, [redacted] ოჯახის წევრის თანდასწრებით.

საქმის მასალების თანახმად, დაკავების შემდეგ [redacted] გადაყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, 2025 წლის [redacted] დეკემბერს.

საქმის მიხედვით, გამოკითხულია [redacted] ჩხრეკაში და დაკავებაში მონაწილე პოლიციის მეორე თანამშრომელი, [redacted] რომელიც აცხადებს, რომ თავადაც მონაწილეობდა [redacted] მიმართ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებში და ჩხრეკისა და დაკავების შესახებ ანალოგიურ ინფორმაციას იძლევა, როგორც [redacted] თუმცა დამატებით ასახელებს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე **კიდევ სამი სხვა პოლიციელის ვინაობას, რომლებიც ასევე იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილას.**[6]

[redacted] განმარტავს, რომ ადგილზე იმყოფებოდა თვითონ, გამომძიებლები [redacted] და [redacted] ასევე ოპერატიული თანამშრომლები [redacted] **საერთო ჯამში ექვსი პოლიციელი.** ამათგან, სამმა თანამშრომელმა - [redacted] ჩაატარეს [redacted] თანმხლები პირის, [redacted] **ჩხრეკა.**

[redacted]ს პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით, მის ჩხრეკაში მონაწილეობდა სამი პოლიციელი - [redacted] და [redacted].[7] ჩხრეკის შედეგად ჩატარდა მშვიდ ვითარებაში, რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან ნივთიერება ამოღებული არ ყოფილა. საგამოძიებო მოქმედების დროს ტექნიკური საშუალება არ გამოყენებულა, ტექნიკური საშუალებისა და ფიზიკური რესურსის არ არსებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ [redacted] და [redacted] პირადი ჩხრეკის ოქმების თანახმად, ორივე შემთხვევაში **ჩხრეკა ჩატარდა მშვიდ ვითარებაში,** რაიმე სახის იძულების გარეშე. ასევე, [redacted] დაკავების ოქმის მიხედვითაც, **დაკავება მოხდა მშვიდ ვითარებაში, იძულების გარეშე.**

დაცვის მხარის მასალები

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმის, [redacted] გამოკითხვის ოქმის მიხედვით, 2024 წლის [redacted] დეკემბერს [redacted] ავტომობილით, მეტრო სადგურ [redacted] მხრიდან მოძრაობდნენ [redacted] საპატრულო ეკიპაჟის მტკვრის სანაპიროს მიმართულებით, რა დროსაც [redacted] მიმდებარე ტერიტორიაზე, რის შემდეგაც მათთან მითითებით გააჩერეს ავტომობილი [redacted] თავდაპირველად მივიდა **საპატრულო პოლიციის ორი თანამშრომელი.**[8]

მოწმის გამოკითხვით ირკვევა, რომ [redacted] დაკავებას და ჩხრეკას თვალს ადევნებდა რამდენიმე მეტრიდან და ასევე, აღნიშნავს, რომ გაცილებით მეტი პოლიციის თანამშრომელი იმყოფებოდა [redacted] ვიდრე პოლიციის მიერ შედგენილ ოქმში, კერძოდ, მინიმუმ **ხუთზე მეტი პოლიციელი.**[9] მოწმის განმარტებით, პოლიციელების მიერ ჩხრეკის ჩატარების პერიოდში, საავტომობილო გზაზე ჩაიარა რამდენიმე ათეულმა სხვა ავტომობილმა და შესაძლებელი იყო მათი გაჩერება ჩხრეკის პროცესზე დასწრების მიზნით, თუმცა პოლიციას არ უცდია რომელიმე მათგანის გაჩერება.

დაცვის მხარის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, მოწმემ დამატებით დააზუსტა, თუ სად მოხდა საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ მათი შეჩერება. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღიწერა და გადაღებული იქნა [redacted] მიმდებარე ტერიტორია, ასევე ხიდამდე რამდენიმე მეტრით ადრე და [redacted] შემდეგ რამდენიმე მეტრში არსებულ შუქნიშანზე დამონტაჟებული ვიდეო მოწყობილობები, რომლებიც წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ის კამერებს.[10]

ამასთან, მოწმე [redacted] მსგავსად, **ბრალდებულ**[redacted] გამოკითხვის ოქმში, აღწერილია როგორც მისი დაკავების ადგილი, ასევე, პოლიციელთა რაოდენობის შესახებ მითითებულია, რომ იყო ათამდე პოლიციელი და თავდაპირველად, მათ ავტომობილთან მივიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. ხოლო, უშუალოდ ჩხრეკის დროს ხელები ეწყო საპატრულო პოლიციის ავტომობილზე და ამ დროს „ჩაუდეს" პოლიციის თანამშრომლებმა მას შარვლის წინა ჯიბეში ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც შემდეგ, თავადვე ამოიღეს მისი ჯიბიდან. ასევე, ოქმში აღნიშნულია, რომ დაკავებაში მონაწილე პოლიციელებს თან ჰქონდათ მობილური ტელეფონები და აღწერს, რომელ პოლიციელს რა ფუნქცია ჰქონდა მისი დაკავებისას.[11] ასევე, ბრალდებული განმარტავს, რომ ჩხრეკის მიმდინარეობისას სულ მცირე ოცმა ავტომობილმა გაირა გზაზე, თუმცა პოლიციას არ უცდია მათი გაჩერება და მოწმის სახით ჩხრეკის პროცესზე დასწრება.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, დაცვის მხარემ 2024 წლის [redacted] დეკემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს და მოითხოვა შესაბამისი ჩანაწერების შენახვა/დაარქივება, რომელთა ხედვის არეალშიც შესაძლოა მოქცეული იყო ბრალდებულ [redacted] ჩხრეკისა და დაკავების ტერიტორიები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის პასუხის მიხედვით,[12] მითითებული ადგილმდებარეობები ექცევა 112-ის ბაზაზე რიცხული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ხედვის არეალში, ამავდროულად ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე ჩანაწერების შენახვა შესაძლებელი იყო 30 დღემდე ვადით. შესაბამისად, დაცვის მხარისთვის აღნიშნულ ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობა დამოკიდებული იყო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

2024 წლის [redacted] დეკემბერს დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ის კუთვნილი კომპიუტერული სისტემიდან მომხდარიყო მის ბაზაზე რიცხული იმ ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების გამოთხოვა, რომელთა ხედვის არეალშიც ექცევა [redacted] ქვემ (მტკვრის მარჯვენა სანაპირო) არსებული ტერიტორია, 2024 წლის [redacted] დეკემბრის 00:05 საათიდან 03:00 საათამდე დროის მონაკვეთში.

დაცვის მხარის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ განჩინების გაცემის შემთხვევაში, მოპოვებული იქნებოდა კონკრეტული ვიდეოჩანაწერი, რომელიც გამორიცხავდა ჩხრეკის ოქმში ასახული ინფორმაციის სისწორეს. პირველ რიგში, გამოჩნდებოდა პოლიციელების უფრო მეტი რაოდენობა [redacted] დაკავების დროს და დადასტურდებოდა ნეიტრალური მტკიცებულების (დამსწრე პირი და ტექნიკური საშუალება) მოპოვების შესაძლებლობა. ხოლო, ჩხრეკის ოქმში ასახული ამ კონკრეტული ინფორმაციის საწინააღმდეგო ინფორმაციის მოპოვება, უკვე მისი მტკიცებულებად დაუშვებლობის საფუძველი გახდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის [redacted] იანვრის [redacted] განჩინებით არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა, რის შემდეგაც სასამართლოს აღნიშნული განჩინება დაცვის მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი 2025 წლის 9 იანვრის განჩინებით.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კანონმდებლობა და საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი [უნდა ემყარებოდეს] უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ".[13]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას".[14]

დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.[15] საპროცესო კოდექსი დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნევს იმ მტკიცებულებას, რომელიც არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე იქნა მოპოვებული, თუნდაც კანონით დადგენილი წესით, მაგრამ აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას.[16] შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ის მტკიცებულებები, რომელთა მოპოვების დროს არსებითად იქნა დარღვეული მოქმედი კანონმდებლობის ნორმები, არ არის უარყოფილი ეჭვი მათი გამოცვლის, ნიშან-თვისებების შეცვლის ან მათზე არსებული კვალის შესახებ და, ასევე, ასეთი მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმის ის ნორმატიული შინაარსი,[17] რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა

დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[18]

საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად საეჭვო მტკიცებულებათა კატეგორიას არ მიაკუთვნა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებები,[19] თუმცა განმარტა, რომ აღნიშნული არ გულისხმობს, „რომ პოლიციელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია ადეკვატური შემოწმების გარეშე იმთავითვე სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს".[20]

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სრულიად არ არის გამორიცხული პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედება და ჰიპოთეტურად, შესაძლებელია, მართლაც ჰქონდეს ადგილი კანონსაწინააღმდეგო ნივთის „ჩადებას". ამასთან, ასეთ შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარების ადგილზე მყოფი ყველა პოლიციელი გამოძიებას მისცემს ერთნაირ ჩვენებას და თუ არ იქნება სხვა მტკიცებულება, რაც დაადასტურებს ან უარყოფს, რომ ნივთს ფლობდა თუ არა ბრალდებული, ბრალდებულს არ რჩება ბერკეტი წარადგინოს თავისი სიმართლის დამამტკიცებელი მტკიცებულებები და ზეგავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე.[21]

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სწორედ „ბრალდების მხარის ვალდებულებაა, გამოიყენოს კანონიერი საშუალებები იმისთვის, რომ გაამყაროს ჩხრეკა/ამოღების ფაქტისადმი სანდოობა".[22]

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, **„როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს"**.[23] ასეთ შესაძლებლობად, საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, მაგალითად, ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღების შესაძლებლობაზე ბრალდების პოზიციის გასამყარებლად, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, თუნდაც მობილური ტელეფონის მეშვეობით.[24]

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, *თუ ჩხრეკა ან ამოღება ანონიმური შეტყობინების ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საიდუმლო თანამშრომლისგან (კონფიდენტისგან)/ინფორმაციის მიმწოდებელი წყაროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ან მე-5 ნაწილით დადგენილი წესით ჩატარდა და ამოღებულ იქნა უკანონო საგანი, ნივთი ან ნივთიერება, აღნიშნული გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად შეიძლება დაედოს იმ შემთხვევაში, თუ უკანონო საგნის, ნივთის ან ნივთიერების* ***პირის მფლობელობაში ყოფნა,*** *აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი გამომძიებლის ჩვენების, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე გამომძიებლის ჩვენების, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე, ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციის მქონე პირის ჩვენებისა და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმის გარდა,* ***სხვა მტკიცებულებითაც დასტურდება.*** *ეს წესი არ გამოიყენება, როდესაც სხვა მტკიცებულების მოპოვება/წარდგენა ობიექტურად შეუძლებელია.*[25]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ნეიტრალური მტკიცებულების შექმნის ვალდებულებას სახელმწიფოს ცალსახად აკისრებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი. ევროპული სასამართლო საკმარისად არ მიიჩნევს მხოლოდ ორი პოლიციელის განმარტებას და **სახელმწიფოს ავალდებულებს სადავო ინფორმაციის გადამოწმებას გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად.**[26] დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო არასარწმუნოდ მიიჩნევს გამოძიებას, რომლის დასკვნები მხოლოდ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს ეყრდნობა და განმარტავს, რომ სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ რატომ არ მოხდა სხვა თვითმხილველი პირების დაკითხვა, რათა ამ გზით გამყარებულიყო მოწმე პოლიციელთა ჩვენება.[27] სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფომ უნდა მოიძიოს ნეიტრალური მტკიცებულებები, რადგან პოლიციის ოფიცერთა ჩვენებები შეიძლება თავდაცვითი ხასიათის იყოს[28] ან ეყრდნობოდეს სუბიექტურ გარემოებებს.[29]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მიმართ განხილულ პრეცედენტულ საქმეში განმარტა, რომ *შიდა სასამართლოების მხრიდან გასარკვევი დარჩა, იყო თუ არა ჩხრეკის შედეგად*

მოპოვებული ფიზიკური მტკიცებულებები დადასტურებული სხვა წყაროებიდან მიღებული მტკიცებულებებით. სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალებში არც ერთი სხვა მტკიცებულება, ჩხრეკის ოქმის არარსებობის შემთხვევაში, არ იყო საკმარისად ძლიერი. კერძოდ, პოლიციის წარმომადგენლების მიერ მიცემული ჩვენებები საფუძვლად დაედო განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეს, ამასთან, შეიქმნა იმ ორგანოს მიერ, რომელმაც დაიწყო სამართალწარმოება და დაინტერესებული იყო დევნის შედეგით. მიუხედავად ამისა, შიდა სასამართლოების მიერ პოლიციის წარმომადგენლების ჩვენება ავტომატურად იქნა აღქმული, როგორც ობიექტური და სანდო, ყოველგვარი მნიშვნელოვანი მცდელობის გარეშე, აღმოეფხვრათ წინააღმდეგობები. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა სამართლიანი სასამართლო.[30]

ნეიტრალურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მართებული სასამართლო პრაქტიკა ასევე გვხვდება საერთო სასამართლოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის ზოგიერთ საქმეში. მაგალითად, ჯერ კიდევ წლების წინ განხილულ ერთ-ერთ საქმეში მოსამართლემ იმსჯელა ჩხრეკის სტანდარტზე, სადაც პრობლემურად არის მიჩნეული ჩხრეკის ჩატარების დროს გარეშე პირის არდასწრება მაშინ, როდესაც ამის საშუალება არსებობს და ასევე, ყურადღება გამახვილებულია ჩხრეკის ჩატარების დროს თუნდაც პოლიციის თანამშრომელთა პირადი მობილური ტელეფონით ვიდეოგადაღების საჭიროებაზე.[31] მსგავსი მსჯელობა და გადაწყვეტილება საერთო სასამართლოებს სხვა არაერთ საქმეზე აქვთ მიღებული.

წინამდებარე საქმის ანალიზი

მოცემულ საქმეში [redacted] დაკავების დროს, მის მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე **ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას იძლევა ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები.**

კერძოდ, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, [redacted] დაკავება მოხდა **მხოლოდ სამი პოლიციელის** მონაწილეობით. ხოლო, დაცვის მხარე მიუთითებს, რომ [redacted] **დააკავა უფრო მეტმა პოლიციელმა, ხოლო ადგილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებიც იმყოფებოდნენ.**

ამასთან, საქმის მასალების თანახმად, [redacted] პირადი ჩხრეკა, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩაატარა პოლიციის სამმა თანამშრომელმა.[32] მიუხედავად იმისა, რომ ოპერატიული ინფორმაცია [redacted] შესახებ მიღებულ იქნა 2024 წლის [redacted] დეკემბერს, არაუგვიანეს 20:28 საათისა, ხოლო უშუალოდ ჩხრეკა და დაკავება პოლიციელების მიერ ჩატარდა 01:20 საათზე **(დაახლოებით ხუთი საათის შემდეგ)**. შესაბამისად, პოლიციელები სათანადოდ არ მოემზადნენ, რათა უზრუნველეყოთ ვიდეოგადაღება. მითუმეტეს, ჩხრეკისა და დაკავების ოქმში მითითებულია, რომ საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში.

გამოძიების მიერ შედგენილი დოკუმენტების მიხედვით, სულ მცირე 2024 წლის [redacted] დეკემბრის 20:28 საათიდან პოლიციის თანამშრომლებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ დაახლოებით ხუთ საათში, [redacted] **ავტომობილით** უნდა გადაადგილებულიყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, [redacted] მიმართულებით და თან უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული ნივთიერება და როგორც პირადად, ასევე ავტომობილში და საცხოვრებელ სახლში უნდა ჰქონოდათ ნარკოტიკული საშუალებები. ამრიგად, პოლიციელების მიერ [redacted] დაკავება მოხდა დაახლოებით ხუთი საათის შემდეგ, იმგვარად, რომ გამოძიებისთვის ბუნდოვანია და არ დაინტერესებულა, ამ დროის პერიოდში, [redacted] საიდან მოდიოდა მათ მიერ დადგენილ მისამართზე, სად იმყოფებოდა ამ დროის პერიოდში, ვინმესთან ჰქონდა თუ არა შემხებლობა აღნიშნული ხუთი საათის განმავლობაში და ა.შ.

ამავდროულად, გამოძიების მიერ შედგენილი დოკუმენტების მიხედვით, [redacted] დააკავეს ქ. თბილისში, **ისეთ დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელია, დამონტაჟებული იყოს** როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე კომერციული ობიექტების ან სხვა კერძო პირების მფლობელობაში არსებული **სხვადასხვა ტიპის ვიდეოკამერები**.

წარმოდგენილ დოკუმენტებში, საგამოძიებო უწყების მიერ **არ არის დათვალიერებული/აღწერილი მიმდებარე ტერიტორია**, რითაც დადასტურდებოდა ან გამოირიცხებოდა ვიდეოკამერების არსებობა. ამრიგად, გამოძიებას არ უცდია მოეპოვებინა ნეიტრალური მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა პირადი ჩხრეკისა და დაკავების გარემოებების შესახებ პოლიციელების ჩვენებებში აღწერილ ვითარებას, მათ შორის, ბრალდებულის და მოწმის მიერ მოწოდებულ განსხვავებულ ინფორმაციას.

გარდა ამისა, გამოძიებას არ დაუდგენია, თბილისის ერთ-ერთ ყველაზე მოძრავ ადგილას, სადაც დღე-ღამის განმავლობაში მუდმივად გადაადგილდებიან მოქალაქეები, **შეესწრნენ თუ არა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ნეიტრალური პირები** და ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ გამოუკითხავს ისინი ჩხრეკის ჩატარების გარემოებებთან დაკავშირებით.

შესაბამისად, გამოძიების მიმდინარეობისას ბრალდების მხარეს **არ უცდია, მოეპოვებინა** [redacted] **პირადი ჩხრეკის ამსახველი ნეიტრალური მტკიცებულება,** რაც ობიექტურ დამკვირვებელს, სხვა

მტკიცებულებებთან ერთად, დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში და საკმარისად მიიჩნია მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პოლიციელების ჩვენებები.

ბრალდების მხარის საპირისპიროდ, დაცვის მხარემ სცადა ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება. კერძოდ, დაცვის მხარემ გამოკითხა [redacted] თანმხლები პირი, რომელიც ჩატარებული ჩხრეკის და დაკავების შესახებ განსხვავებულ გარემოებებს ასახელებს. დაცვის მხარის მოწმის და ასევე, ბრალდებულის ჩვენებებით, მათ ავტომობილით მოძრაობის დროს, გაჩერება მოსთხოვა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა და დაკავების ადგილას, მათთან თავდაპირველად მივიდნენ პატრულის თანამშრომლები, თუმცა გამოძიების მიერ მოგროვებულ სისხლის სამართლის საქმის მასალებში **არსად არ არის აღნიშნული პატრულის თანამშრომლების რაიმე ფორმით მონაწილოება.** ამდენად, მოწმისა და თავად, ბრალდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმთავითვე წარმოშობს ეჭვს საგამოძიებო უწყების წარმომადგენლების მიერ დოკუმენტირებული ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა ისიც, რომ დაცვის მხარემ **სცადა დაკავების ადგილიდან ვიდეოკამერების ჩანაწერების მოპოვება,** რის საფუძველზეც მოწმის მონაწილეობით დათვალიერდა ჩხრეკისა და დაკავების ადგილი, აღიწერა გარშემო არსებული ვიდეოკამერების მდებარეობა, მოხდა ტერიტორიის ფოტო გადაღება და შესაბამისი განცხადებით მიმართა შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ს, ხოლო შესაბამისი პასუხის საფუძველზე, შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ვიდეოჩანაწერების ამოღების მიზნით.

ამდენად, წარმოდგენილი საქმის მასალები ადასტურებს, რომ დაცვის მხარემ, მის ხელთ არსებული საპროცესო შესაძლებლობები გამოიყენა საქმეზე ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, თუმცა, ყველა მტკიცებულება ვერ შეიქმნა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.

საყურადღებოა ასევე, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არის **სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც**. კერძოდ, გამოძიების მასალების მიხედვით, [redacted] ავტომობილში და საცხოვრებელ სახლშიც უნდა ყოფილიყო ნარკოტიკული საშუალებები, რის შესაბამისადაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს, 2025 წლის [redacted] დეკემბრის დადგენილებით გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის წარმოების შესახებ, პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკა როგორც [redacted] ავტომობილში, ისე მის საცხოვრებელ სახლშიც, თუმცა რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან ნივთიერება ავტომობილში და საცხოვრებელ სახლში აღმოჩენილ ვერ იქნა და **არ დადასტურდა ოპერატიული ინფორმატორის მიერ მოწოდებული ცნობა,** მიუხედავად იმისა, რომ დეტექტივის მიერ პატაკში აღნიშნული იყო ამ ინფორმაციის წყაროს სანდოობა და ყველა აქამდე მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობა.[33] **ამასთან, არც აღნიშნულ შემთხვევებში არ მოხდა ტექნიკური საშუალებებით ვიდეო გადაღება და რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთის ამოღების შემთხვევაში, აქაც პრობლემური შეიძლება გამხდარიყო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების საკითხი.** ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთს ამოიღებდა გამოძიება და ჩხრეკის მონაწილე (ბრალდებულის ოჯახის წევრი) არ დაადასტურებდა ნივთის კანონიერად ამოღების ფაქტს და მით უფრო, თუ სასამართლო ჩათვლიდა რომ ოჯახის წევრი შეიძლება იყოს სუბიექტური, მაშინ გამოძიებას არ ექნებოდა არავითარი ნეიტრალური მტკიცებულება. მოცემულ შემთხვევაში, პოლიციას ჰქონდა კიდევ უფრო მეტი დრო და პირობები სათანადოდ მომზადებულიყო ჩხრეკის ჩასატარებლად.

ამრიგად, **ბრალდების მხარემ, ობიექტური შესაძლებლობის მიუხედავად, არ უზრუნველყო ნეიტრალური მტკიცებულების, მათ შორის, ვიდეოჩანაწერის მოპოვება.** გარდა ამისა, გამოძიებას არც საგამოძიებო მოქმედების - [redacted] პირადი ჩხრეკის დასრულების შემდეგ არ უცდია დაკავების ადგილზე არსებული ვიდეოკამერებიდან მოეპოვებინა ვიდეოჩანაწერები ან/და დაედგინა დაკავების ფაქტის შემსწრე ნეიტრალური პირები და გამოეკითხა ისინი. ხოლო დაცვის მხარის მცდელობის მიუხედავად, ნეიტრალური მტკიცებულებები ვერ იქნა მოპოვებული, რითიც ხელი შეეშალათ დაცვის პოზიციის დადასტურებაში. შედეგად, [redacted] ბრალდება დაეფუძნა **მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებს** და მათ მიერ წარმოებულ დოკუმენტებს იმ პირობებში, როდესაც არსებობდა ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა.

დასკვნა

სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმის განხილვასა და მოცემული საკითხის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა გააჩნია პოლიციის მხრიდან ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულების დამკვიდრებაში, რასთან დაკავშირებითაც უკვე იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ. სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების პროცესში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება უზრუნველყოფს საკმარისი მტკიცებულების წარდგენას და მნიშვნელოვნად შეამცირებს თვითნებობის რისკებს. ჩხრეკის მიმდინარეობის კანონიერების ნეიტრალური მტკიცებულებით დადასტურების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით პირთა დამნაშავედ ცნობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ იმსჯელოს ნეიტრალური მტკიცებულებების ყველა შესაძლო შემთხვევაში მოპოვების მნიშვნელობაზე პირის

დამნაშავედ ცნობისთვის, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების საკითხი წარმოადგენს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ვიმედოვნებ, წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაცია სასამართლოს განსახილველი საკითხების სათანადო შეფასებაში დაეხმარება.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას [redacted] სისხლის სამართლის ბრალდების საქმის განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

---

[1] დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვის ოქმი, დოკუმენტის ნომერი [redacted] წ. გამოკითხვა დაიწყო 20:28 საათზე და დასრულდა 20:45 საათზე.

[2] შუამდგომლობა გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ, დოკუმენტის ნომერი [redacted]

[3] დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვის ოქმი, დოკუმენტის ნომერი [redacted]

[4] შსს ცკპდ-ის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს დადგენილება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის წარმოების შესახებ, [redacted]

[5] შსს ცკპდ-ის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს დადგენილება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის წარმოების შესახებ, [redacted] წ.

[6] დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვის ოქმი, დოკუმენტის ნომერი [redacted]

[7] [redacted] პირადი ჩხრეკის ოქმი, 2024 წლის [redacted] დეკემბერი.

[8] [redacted] გამოკითხვის ოქმი, 2024 წლის [redacted] დეკემბერი.

[9] [redacted] გამოკითხვის ოქმი, 2024 წლის [redacted] დეკემბერი.

[10] შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, 2024 წლის [redacted] დეკემბერი.

[11 [redacted] გამოკითხვის ოქმი, 2024 წლის [redacted] დეკემბერი.

[12] 2024 წლის 24 დეკემბრის [redacted] წერილი.

[13] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პუნქტი 7.

[14] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13, ნაწილი 2.

[15] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 72. ნაწილი 6.

[16] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 72, ნაწილი 1.

[17] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 13. ნაწილი 2, მე-2 წინადადება.

[18]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", III, §1ა.

[19] იქვე, §101.

[20] იქვე, §102.

[21] იქვე, §104.

[22] იქვე, §105.

[23] იქვე, §106.

[24] იქვე, §107, 108.

[25] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13, ნაწილი 3.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ვირაბიანი (Virabyan) სომხეთის წინააღმდეგ, 40094/05, § N224, 2012წ.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ოჩელკოვი (Ochelkov) რუსეთის წინააღმდეგ, 17828/05, § N123, 2013წ.

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე ბარაბანშიკოვი (Barabanshchikov) რუსეთის წინააღმდეგ, § N61, 36220/02, 2009.

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე მიქიაშვილი (Mikiashvili) საქართველოს წინააღმდეგ, 18996/06, § N82, 2012.

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე კალანდია (Kalandia) საქართველოს წინააღმდეგ, 57255/10, § N43, 44, 2021.

[31] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის [redacted] განაჩენი.

[32] შსს ცკპდ-ის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს დადგენილება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის წარმოების შესახებ, [redacted]

[33] შსს ცკპდ-ის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს, ნარკოტიკული საშუალებებისა და ახალი ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონოდ შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს I ოპერატიული განყოფილების დეტექტივის, [redacted] 2024 წლის [redacted] დეკემბრის [redacted] პატაკი.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი